



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 272/ს  
23/08/2022

272-21-4-202208231014



### საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში შპს „ჯდკ“-ის ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯდკ“-ის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩიხაში, 400 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 35.02.54.610). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X -370930; Y - 4687730. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ჯდკ“-ის დამფუძნებლების კობა დიდბერიძისა და კახაბერ ჯაფარიძის თანასაკუთრებას. შესაბამისად, მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაიგეგმა ერთობლივი ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაცია. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 820 მეტრით. ობიექტის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 166 მეტრში მდებარეობს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება დაგეგმილია რკინის კონსტრუქციებით მოწყობილი, გადახურული ნაგებობის ქვეშ. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: ერთი ერთეული საწვავმარიგებელი სვეტი, საოფისე შენობა, საოპერატორო, საპირფარეშო, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და მეხამრიდი. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება 3 ცალი ჰორიზონტალური რეზერვუარი (ჯამური მოცულობა - 55.218 მ<sup>3</sup>), რომელთაგან 2 ერთეული (23.824 მ<sup>3</sup> და 9.848 მ<sup>3</sup>) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 1 ერთეული (21.546 მ<sup>3</sup>) - დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწისქვეშა სარკოფაგში. თითოეული მათგანი დამზადდება ლითონისგან, დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებით და აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 2 მ, დიამეტრი - 0,05 მ). რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება მარიგებელ სვეტს, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ობიექტზე წლიურად დაგეგმილია 2 000 000

ლიტრი ბენზინისა და 2 000 000 ლიტრი დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნებით. ავტოგასამართ სადგურზე დასაქმდება 8 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება განხორციელდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობ ბეტონისკედლიან წყალგაუმტარ ჭაში, რომლის დაცლა მოხდება საჭიროებისამებრ, შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის პერიმეტრზე (გადახურვის გარეთ) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, ავტოგასამართი სადგურის მარიგებელი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრზე გათვალისწინებული არხების საშუალებით, შეიკრიბება ნავთობდამჭერ სალექარში, საიდანაც ჩაედინება ქალაქის სანიაღვრე არხში, რომელიც მდებარეობს საავტომობილო გზის და საპროექტო ავტოგასამართი სადგურის საზღვარზე. სალექარში წარმოქმნილი ნარჩენები, დროებით დასაწყობდება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, სპეციალურ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შპს „სანიტარს“, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან, საწვავმარიგებელი სვეტი განთავსდება გადახურულ ნაგებობაში, ხოლო გადახურვის გარეთ მოხვედრილი სანიაღვრე წყლები შეგროვდება სალექარში, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ მარკირებულ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. მიწის სამუშაოებისას წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი სრულად იქნება გამოყენებული საპროექტო ტერიტორიის მოსაშენდაკვებლად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნასა და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. ამასთან, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გაცდება ავტოგასამართი სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება, არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ათვისებულ, ტექნოლოგიურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან და დამატებითი მისასვლელი გზების მოწყობასთან. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 166 მეტრში მდებარეობს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგური. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობი ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობისა (55.218 მ<sup>3</sup>) და იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტიდან მოსალოდნელი გაფრქვევები ლოკალიზებულია და იშვიათად სცილდება ავტოგასამართი სადგურის საზღვრებს, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრების და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯდკ“-ს ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯდკ“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯდკ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯდკ“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საჩხერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო